

ლუზინის სივრცეების ზოგიერთი თვისების შესახებ

მარიამ ბერიაშვილი
თსუ ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
Mariam_beriashvili@yahoo.com

ცნობილია, რომ ლუზინის სივრცეების ორი ტიპის განსაზღვრა არსებობს :

- ლუზინის სივრცე ეწოდება ისეთ არათვლად ტოპოლოგიურ T_1 -სივრცეს, რომელსაც არ აქვს იზოლირებული წერტილები და მისი ყოველი არსადმკვრივი ქვესიმრავლე არაუმეტეს თვლადია.
- მეორე განსაზღვრის თანახმად, ლუზინის სივრცე ეწოდება ისეთ ტოპოლოგიურ X სივრცეს, რომლისთვისაც არ არსებობს მასზე განსაზღვრული არანულოვანი დიფუზიური σ -სასრული ბორელის ზომა.

საზოგადოდ ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებები ექვივალენტური არ არის.

წარმოდგენილ მოხსენებაში განვიხილავთ ამ განსაზღვრებით მოცემული სივრცეების თვისებებსა და ურთიერთკავშირებს.